ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1813065

ნომერი: AR1293930

თარიღი : 15.03.2015

გაცემის თარიღი : 31.03.2015

გაცნობის თარიღი : 06.04.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი V , კორპუსი 10-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი ჩანჩიბაძე პ/ნ 01024010811
- თბილისი დ.გამრეკელის ქ. N 20 ბ. 37

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "მმბ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205047741
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბადრი ჩანჩიბაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024010811

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/257
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 2.02.2012

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა ელექტრონულად წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ:
ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 35–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივრის ან სარჩელის წარდგენის შემთხვევაში ნებართვის გაცემის, მის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება არ შეჩერდება, თუ ნებართვის გამცემი ან საჩივრის (სარჩელის) განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ანდა სასამართლო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29–ე მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.
მოცემულ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 22 ივლისის #1508 განკარგულება არ წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის, მის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, შესაბამისად მასზე არ ვრცელდება ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 35–ე მუხლის მოქმედება. აღნიშნული განკარგულების მიმართ გამოიყენება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29–ე მუხლში მითითებული ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 22 ივლისის #1508 განკარგულების მოქმედება შეჩერებულია.
გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 22 ივლისის #1508 განკარგულების მოქმედება შეჩერებულია და შესაბამისად #01/257 ბრძანება ძალაში არ არის და იგი იურიდიული ძალის არმქონეა, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გასაწყვეტილების მიღებამდე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.